

၉၈၈၅၅၅

რეიმონდ კარვერი

რაზე ვლაპარაკობთ,
როცა სიყვარულზე
ვლაპარაკობთ ხოლმე

დიდგენის
ბიბლიოთეკა

რეიმონდ კარვერი
რაზე ვლაპარაკობთ, როცა სიყვარულზე ვლაპარაკობთ სოლმი

Raymond Carver
WHAT WE TALK ABOUT WHEN WE TALK ABOUT LOVE

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

გარეკანზე: ვალერია სიმანტოვსკაიას ნახატი „მძინარე ქალი“

© Raymond Carver, 1981; Tess Gallagher, 1989
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“ 2017, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-858-6

www.diogene.ge

სარჩევი

რატომ არ ცეკვავთ?	9
სამიზნებელი	17
მისტერ ყავა და მისტერ ხელმარჯვე ოსტატი	22
ფანჩატური	27
უმცირესი წვრილმანები	36
პაკეტები	42
აბაზანა.....	52
ქალებს უთხარი, რომ მივდივართ	62
სად ქრება ჯინსი.....	73
ამდენი წყალი ჩვენს სახლთან ასე ახლოს	86
მესამე მიზეზი, რომელმაც ბოლო მოუღო მამაჩემს	96
სერიოზული საუბარი	112
სიმშვიდე	121
პოპულარული მექანიკა	127
ყველაფერი მას ეწებება	131
რაზე ვლაპარაკობთ, როცა სიყვარულზე ვლაპარაკობთ ხოლმე.....	139
კიდევ ერთი ამბავი.....	158

რატომ არ ცაქვავთ?

სამზარეულოში კიდევ ერთხელ დაისხა სასმელი და თვალი შეავლო საძინებელი ოთახის ავეჯს, რომელიც ეზოში იდგა. უშალითო ლეიბები და ზოლიანი ზენრები ორი ბალიშის გვერდით ენყო კომოდზე. ყველაფერი დანარჩენი ისევე ელაგა, როგორც საძინებელ ოთახში იყო ოდესღაც: სანოლის ერთ მხარეს მისი ტუმბო და ნათურა, მეორე მხარეს – ცოლის ტუმბო და ნათურა.

მისი მხარე, ცოლის მხარე.

ამაზე ფიქრობდა და ვისკის ნრუპავდა.

სანოლიდან რამდენიმე ფუტის მანძილზე იდგა კომოდი, რომლის უჯრების შიგთავსი ამ დილას მან მუყაოს ყუთებში გადაიტანა და სასტუმრო ოთახში მიუჩინა ადგილი. კომოდის მახლობლად ნახავდით პორტატიულ გამათბობელსა და როტანგის სავარძელს ხელნაკეთი ბალიშითურთ. სამზარეულოს ალუმინის პრიალა ავეჯს შემოსასვლელი გზის ნაწილი ეკავა. მაგიდაზე გადაფარებული ყვითელი მარმამის (ნაჩუქარი) ფართო სუფრა მიწას სწვდებოდა. მაგიდაზე ენყო გვირის ქოთანის, კოლოფში ჩანყობილი ვერცხლის დანა-ჩანგალი და ფირსაკრავი (ასევე ნაჩუქარი). მოზრდილი დასაკიდი ტელევიზორი ყავის მაგიდაზე განისვენებდა, ხოლო მისგან რამდენიმე ფუტის მანძილზე დივანი და ტორშერი იდგა. სანერი მაგიდა გარაჟის კარს ებჯინებოდა. მასზე ენყო ჭურჭელი, კედლის საათი და ჩარჩოებიანი ორი ოფორტი. გზაზე იდგა ასევე ყუთი გაზეთის ნაგლეჯებში სათითაოდ შეფუთული ჭიქებით, ფინჯენ-

ბითა და თეფშებით. ამ დილას ყველაფერი გამოიღო კარადებიდან და ახლა მთელი ეს ხარახურა ეზოში ელაგა, გარდა სამი ყუთისა, რომლებიც ოთახში დატოვა. დამაგრძელებელი გარეთ გაიყვანა და ყველაფერი ჩართო. ელექტროხელსაწყოები ეზოშიც ისევე გამართულად მუშაობდა, როგორც სახლში.

დროდადრო ესა თუ ის მანქანა სვლას ანელებდა და მგზავრები ეზოში გამოტანილ ნივთებს ათვალეერებდნენ, მაგრამ არავინ შეჩერებულა. გაიფიქრა, მეც არ შევჩერდებოდიო.

– ალბათ, ავეჯს ყიდიან, – უთხრა გოგონამ ბიჭს.

თავიანთი მომცრო ბინისთვის ავეჯის შექენა სურდათ.

– მოდი, გავიგოთ, რამდენად ყიდიან საწოლს, – თქვა გოგონამ.

– და ტელევიზორს, – დასძინა ბიჭმა.

ბიჭმა მანქანა გზაზე შემოიყვანა და სამზარეულოს მაგიდასთან შეაჩერა.

ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ და ნივთების თვალეერებას შეუდგნენ. გოგონამ მარმაშის სუფრას ხელი გადაუსვა, ბიჭმა კი ბლენდერი ელექტროქსელში ჩართო და დისკი „ფარშზე“ დააყენა. გოგონამ კედლის თეფში აიღო, ბიჭმა ტელევიზორი ჩართო და მისი გამართვა სცადა.

მერე დივანზე ჩამოჯდა ტელევიზორის საყურებლად. სიგარეტს მოუკიდა, მიმოიხედა და ასანთის ღერი ბალახში გადაისროლა.

გოგონა საწოლზე ჩამოჯდა. ფეხსაცმელები გაიძრო და გულალმა დაწვა. ფიქრობდა, იქნებ ვარსკვლავი დავინახოო.

– აქ მოდი, ჯეკ. საწოლი მოსინჯე. ბალიში მოიტანე.

– როგორია? – ჰკითხა ბიჭმა.

– თვითონვე მოსინჯე, – მიუგო გოგონამ.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა. სახლში ბნელოდა.

– მეუხერხულება, – უთხრა მან. – ჯობია, ვნახო, ვინმე ხომ არ არის სახლში.

გოგონა საწოლზე ხტუნაობდა.

– ჯერ სანოლი მოსინჯე, – უთხრა ბიჭს.

ბიჭი სანოლზე გაიშოტა და თავქვემ ბალიში ამოიღო.

– როგორ მოგნონს? – ჰკითხა გოგონამ.

– მყარი ლეიბია, – უთხრა ბიჭმა.

გოგონა გვერდზე გადაბრუნდა, ბიჭს სახეზე მიეფერა და მაკოცეო, სთხოვა.

– ავდგეთ, – შეეპასუხა ბიჭი.

– მაკოცე, – გაიმეორა გოგონამ.

თვალეები დახუჭა. ბიჭს მოეხვია.

ბიჭმა თქვა:

– ვნახავ, ვინმე ხომ არაა სახლში.

მაგრამ, უბრალოდ, დაჯდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ტელევიზორს უყურებდა.

ქუჩაზე ჩამწკრივებულ სხვა სახლებში შუქი აინთო.

– მართლაც უხერხული იქნებოდა... – თქვა გოგონამ, ჩაიცინა და სათქმელი აღარ დაუმთავრებია.

ბიჭმა რატომღაც გაიცინა. რატომღაც ტუმბოზე დადგმული ნათურა აანთო.

გოგონამ კოლოს ხელი აუქნია, ბიჭი კი ამასობაში წამოდგა და პერანგი გაისწორა.

– ვნახავ, ვინმე ხომ არაა სახლში, – თქვა მან. – ალბათ, არა-ვინაა. მაგრამ თუ სახლის პატრონი ვიპოვე, ვკითხავ, რა ღირს ეს ნივთები.

– როგორი ფასიც უნდა დაგისახელონ, ათი დოლარი დააკლვ-ბინე, – უთხრა გოგონამ. – შეიძლება, სახლის პატრონები გამოუ-ვალ მდგომარეობაში არიან.

– ტელევიზორი საკმაოდ კარგია, – თქვა ბიჭმა.

– ჰკითხე, რა ღირს, – თქვა გოგონამ.

კაცი ტროტუარზე მიდიოდა. ხელში მალაზიის პაკეტი ეჭირა სენდვიჩებით, ლუდითა და ვისკით. შესასვლელ გზაზე მდგარი მანქანა და სანოლზე წამოწოლილი გოგონა დაინახა. დაინახა ასევე ჩართული ტელევიზორი და პარმალზე მდგარი ბიჭი.

– გამარჯობა, – მიესალმა მამაკაცი გოგონას. – სანოლი გიპოვიათ. კარგია.

– გამარჯობა, – მიუგო გოგონამ და წამოდგა. – უბრალოდ, მოვსინჯე, როგორია, – და ხელი მოუთათუნა სანოლს. – საკმაოდ რიგიანი სანოლია.

– კარგი სანოლია, – თქვა მამაკაცმა, პაკეტი დადო, ლუდი და ვისკი ამოიღო.

– გვეგონა, აქ არავინ იყო, – თქვა ბიჭმა. – სანოლის და, შეიძლებს, ტელევიზორის ფასი გვანტერესებს, და მაგიდისაც. სანოლს რამდენად ყიდით?

– ალბათ, ორმოცდაათ დოლარად.

– ორმოცდად არ მოგვყიდით? – იკითხა გოგონამ.

– თანახმა ვარ, – თქვა მამაკაცმა.

ყუთიდან ჭიქა ამოიღო და გაზეთის ნაგლეჯი მოაცალა. ვისკი გახსნა.

– ტელევიზორს როგორ აფასებთ? – ჰკითხა ბიჭმა.

– ოცდახუთად.

– თხუთმეტად მოგვყიდით? – იკითხა გოგონამ.

– თხუთმეტი იყოს, კი ბატონო, – თქვა მამაკაცმა.

გოგონამ ბიჭს შეხედა.

– აბა, ბავშვებო, უნდა დალიოთ, – თქვა მამაკაცმა. – ჭიქები ყუთშია. მე კი დივანზე ჩამოვჯდები.

მამაკაცი დივანზე დაჯდა, საზურგეზე გადაწვა და ბიჭსა და გოგონას შეხედა.

ბიჭმა ორი ჭიქა იპოვა და ვისკი დაასხა.

– გეყო, – უთხრა გოგონამ. – წყლით გამიზავე.

მერე სკამს ხელი დაავლო და სამზარეულოს მაგიდასთან დაჯდა.

ბიჭმა წყლით გაზავებული ვისკი მოიტანა, ჩაახველა და გოგონას მიუჯდა. ილიმებოდა. მაგრამ არაფერი დაუღევია.

მამაკაცი ტელევიზორს მიაჩერდა. ჭიქა გამოცალა და ხელახლა შეივსო. ტორშერის ასანთებად ხელი რომ გაინვდინა, სიგარეტი გაუვარდა და დივნის ბალიშებში ჩავარდა.

გოგონა სიგარეტის პოვნაში დაეხმარა.

– კიდევ რა ვიყიდოთ? – ჰკითხა ბიჭმა გოგონას, ჩეკების ნიგნაკი ამოიღო და ტურქებთან მიიტანა, თითქოს რაღაცის ანონ-დანონას ცდილობდა.

– სანერი მაგიდა მინდა, – თქვა გოგონამ. – რა ღირს?

მამაკაცმა ამ უადგილო შეკითხვაზე ხელი გაიქნია და ფასი თვითონვე დამისახელეთო, შესთავაზა. მაგიდასთან მსხდომთ აკვირდებოდა. ნათურის შუქზე ძნელად გაარჩევდით, მიმზიდველი სახეები ჰქონდათ თუ უსიამოვნო.

– ტელევიზორს გამოვრთავ და ფირფიტას მოვუსმინოთ, – თქვა მამაკაცმა. – ფირსაკრავსაც ვყიდი. იაფად. რამდენს მომცემთ?

ისევ დაისხა ვისკი და ლუდის ბოთლი გახსნა.

– ყველაფერი იყიდება, – თქვა მამაკაცმა.

გოგონამ ჭიქა გაუწოდა და მამაკაცმა დაუსხა.

– გმადლობთ, – თქვა გოგონამ. – ძალიან თავაზიანი ხართ.

– უკვე შეზარხოშიდი, – თქვა ბიჭმა. – მეც.

მერე თავისი ჭიქა ასწია და შეანჯღრია.

მამაკაცმა ჭიქა გამოსცალა, კიდევ დაისხა და ფირფიტების ყუთი მოძებნა.

– აირჩიეთ, – უთხრა გოგონას და ფირფიტები მიაწოდა.

ბიჭმა ჩეკი გამოწერა.

– აი, ამას მოვუსმინოთ, – თქვა გოგონამ და ალაღბედზე ამოიღო ფირფიტა. ადგა, მერე ისევ დაჯდა. ცმუკავდა.

– ნაღდ ფულს გამოვწერ, – თქვა ბიჭმა.

– რა თქმა უნდა, – შეეპასუხა მამაკაცი.

დალიეს. მუსიკას მოუსმინეს. შემდეგ მამაკაცმა ფირფიტა შეცვალა.

რატომ არ ცეკვავთ, ბავშვებო, უნდოდა ეკითხა მამაკაცს და იკითხა:

– რატომ არ ცეკვავთ?

– რა ვიცი, – თქვა ბიჭმა.

– იცეკვებო, – უთხრა მამაკაცმა. – ეს ჩემი ეზოა. თუ გინდათ, იცეკვებო.

გოგონამ და ბიჭმა ერთმანეთს ხელები მოხვიეს და შემოსასვლელ გზაზე დაიწყეს ცეკვა. შემდეგ ფირფიტა გადაატრიალეს და ცეკვა განაგრძეს. როდესაც მუსიკა შეწყდა, ბიჭმა თქვა:

– დავთვერი.

– არ დამთვრალხარ, – შეეპასუხა გოგონა.

– გეუბნები, დავთვერი-მეთქი, – თქვა ბიჭმა.

მამაკაცმა ფირფიტა გადაატრიალა და ბიჭმა თქვა:

– დავთვერი.

– მეცეკვე, – უთხრა გოგონამ ჯერ ბიჭს, მერე – მამაკაცს და როდესაც ის წამოდგა, მისკენ წავიდა და ხელები ფართოდ გაშალა.

– ვილაცები გვიყურებენ, – თქვა გოგონამ.

– მერე რა მოხდა, გვიყურონ, – თქვა მამაკაცმა. – ეს ჩემი ეზოა.

– ჰოდა, გვიყურონ, – თქვა გოგონამ.

– რა თქმა უნდა, – თქვა მამაკაცმა. – ეგონათ, რომ აქ ყველაფერი ნახეს. მაგრამ ეს არ უნახავთ, ხომ ასეა?

კისერზე გოგონას სუნთქვას გრძნობდა.

– იმედი მაქვს, შენი სანოლი მოგწონს, – თქვა მამაკაცმა.

გოგონამ თვალები დახუჭა, შემდეგ გაახილა. თავით მამაკაცის მხარს მიეყრდნო. მამაკაცი თავისკენ მიიზიდა.

– ალბათ, რაღაც უბედურება შეგემთხვათ, – თქვა გოგონამ.

რამდენიმე კვირის შემდეგ გოგონა ჰყვებოდა: შუახნის კაცს ყველა ნივთი ეზოში ჰქონდა გამოტანილი. გეფიცებით. გავიღე-შეთ და ვიცეკვეთ. პირდაპირ შემოსასვლელ გზაზე. ღმერთო ჩემო, ნუ იცინით. ფირფიტები მოგვასმენინა. შეხედეთ ფირსაკრავს. იმ ბებრუხანამ მოგვცა. ეს ქეციანი ფირფიტებიც. გინდათ, დაათვალიეროთ?

სულ ამაზე ლაპარაკობდა. ყველას უამბობდა. თუმცა კიდევ იყო რაღაც, რის თქმასაც ლამობდა. მაგრამ გავიდა დრო და გოგონა უკვე აღარაფერს ცდილობდა.

სამიზნეპელი

უხელო კაცმა ჩემს კარზე დარეკა, რათა ჩემივე სახლის ფოტოსურათის შექმნა შემოეთავაზებინა. მოქრომილი კაუჭები რომ არ ჰქონოდა, ჩვეულებრივი შესახედაობა ექნებოდა. დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იყო.

– როგორ დასახიჩრდით? – ვკითხე მას შემდეგ, რაც თავისი მოსვლის მიზანი გამიმხილა.

– ეს ცალკე ამბავია, – მიპასუხა მან. – იყიდით ფოტოსურათს?

– შემობრძანდით, – ვუთხარი მე. – ეს-ესაა ყავა მოვხარშე.

ახლახან ჟელეც დავამზადე, მაგრამ უხელო კაცისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს.

– შეიძლება თქვენს საპირფარეშოში შევიდე? – მკითხა უხელომ.

მაინტერესებდა, როგორ დაიჭერდა ფინჯანს.

მივხვდი, როგორ იყენებდა ფოტოაპარატს – ძველ, დიდ შავ „პოლაროიდს“. აპარატი მის მკერდზე გადაჯვარედინებულ ტყავის თასმებზე იყო მიმაგრებული, რომლებიც ზურგზე იკვრებოდა. უხელო კაცი ჩემი სახლის წინ ტროტუარზე დადგა, სამიზნეებელში მოძებნა, ღილაკს დააჭირა და ფოტოსურათიც გაამზადა. მე კი ამ დროს თურმე ფანჯარაში ვიყურებოდი.

– რა მითხარით, საპირფარეშო სად არისო?

– ქვემოთ და მარჯვნივ.

ის მოიხარა, დაიკლაკნა და თასმებიდან თავი გაითავისუფლა. აპარატი დივანზე დადო და პიჯაკი შეისწორა.

– შეგიძლიათ ამასობაში დაათვალიეროთ.

ფოტოსურათი გამოვართვი.

გაზონის პანანინა მართკუთხა ნაწილი, შემოსასვლელი გზა, ავტოსადგომი, პარმალი, ერკერი, სამზარეულოს ფანჯარა, რომლიდანაც ვიყურებოდი.

რა ჯანდაბად მჭირდება ამ ტრაგედიის ფოტოსურათი?

დავაკვირდი და დავინახე ჩემი თავი – ჩემი თავი – სამზარეულოს ფანჯარაში.

იმან, რომ ჩემი თავი ამგვარად დავინახე, მაიძულა დავფიქრებულიყავი. ჩემ ადგილას ყველა დაფიქრდებოდა.

ჩასარეცხი ავზის ხმაური მომესმა, უხელო კაცი დერეფანში მოდიოდა, შარვალს იკრავდა, იღიმებოდა. ერთი კაუჭი ქამარში ჰქონდა გამოდებული, მეორით კი პერანგს შარვალში იტენიდა.

– რა იტყვით? – მკითხა მან. – ხომ კარგია? ჩემი აზრით, საკმაოდ რიგიანი ფოტოსურათი გამოვიდა. განა ჩემი საქმე არ ვიცი? აქ ნამდვილი პროფესიონალი უნდა იყო.

და საზარდული მოიფხანა.

– ყავა ინებეთ, – შევთავაზე მე.

– მარტო ცხოვრობთ? – მკითხა მან, სასტუმრო ოთახს თვალი შეავლო, თავი გადააქნია.

– ძნელია, ძნელი, – თქვა, მერე ფოტოაპარატის გვერდით დაჯდა, დივანის საზურგეზე გადაწვა და სახეზე იდუმალი ღიმილი გადაეფინა, თითქოს ისეთი რამ იცოდა, რის გამხელასაც არ აპირებდა.

– ყავა მიირთვით, – ვუთხარი მე.

ვფიქრობდი, რა ვუთხრა-მეთქი.

– ამას წინათ სამი ყმანვილი მოვიდა. შემომთავაზეს, ბორდოურზე თქვენს მისამართს დავწერთო. დოლარი მთხოვეს. მათ შესახებ ხომ არაფერი გსმენიათ?

შორიდან მოვუარე. მაგრამ ისე ვუყურებდი, ვითომც აქ არაფერიაო. უხელო კაცი ამყად გადმოიხარა წინ. ფინჯანი კაუჭებს შორის აქანავდა. კაცმა ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

– მარტო ვმუშაობ, – თქვა მან. – ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება. რაზე მიმანიშნებთ? – მკითხა.

– ვცდილობდი, კავშირი მომეძებნა, – ვუპასუხე მე.

თავი ამტკიცდა. ვიცოდი, რომ ყავა არ მიშველიდა, მაგრამ ყელზე ზოგჯერ მშველის ხოლმე. ფოტოსურათი ავიღე.

– როდესაც მიღებდით, სამზარეულოში ვიყავი, – ვთქვი მე. – ჩვეულებრივ, ოთახებში ვარ ხოლმე.

– ყოველთვის ასე ხდება, – თქვა მან. – ფული გამოგართვეს და წავიდნენ? შემომხედეთ. მარტო ვმუშაობ. რას იტყვიან? აიღებთ სურათს?

– ავიღებ, – მივეუგე მე.

ავდექი და ფინჯნები ავკრიფე.

– რა თქმა უნდა, აიღებთ, – თქვა მან. – ქალაქში ბინა მაქვს. ავტობუსით გარეუბნებში მივემგზავრები ხოლმე, იქ ვმუშაობ და მერე ქალაქის ცენტრში ვბრუნდები. გესმით, რას გეუბნებით? ოდესღაც მეც მყავდა შვილები. ისევე, როგორც თქვენ.

ფინჯნები მეჭირა და ვუყურებდი, როგორ ცდილობდა, დივნიდან ამდგარიყო.

– აი, რა დღეში ჩამაგდეს.

კაუჭებს ყურადღებით დავაკვირდი.

– დიდი მადლობა ყავისთვის და იმისთვის, რომ საპირფარეშოში შემიშვიტ. თანაგიგრძნობთ.

მან კაუჭები ასწია და ძირს დაუშვა.

– დამიმტკიცეთ, – ვუთხარი მე. – დამიმტკიცეთ, რომ თანა-მიგრძნობთ. კიდევ გადაიღეთ ჩემი და ამ სახლის ფოტოსურათები.

– არაფერი გამოვა, – თქვა კაცმა. – არ დაბრუნდებიან.

მაგრამ ღვედების ჩამოცმაში დავეხმარე.

– შემოძლია ტარიფები გიჩვენოთ, – თქვა მან. – სამი ფოტო-სურათი ერთი დოლარი ღირს, – და დასძინა: – თუ ფასს დავაკლებ, დავზარალდები.

გარეთ გავედით. უხელო კაცმა დიაფრაგმა დაარეგულირა. მიჩვენა, სად უნდა დავმდგარიყავი და საქმეს შეუდგა. სახლის ირგვლივ მიღებდა ფოტოსურათებს. ზოგჯერ გვერდზე ვიყურებოდი, ზოგჯერ კი – პირდაპირ.

– კარგია, – იმეორებდა ის. მთელ სახლს შემოვუარეთ და ისევ შესასვლელის წინ აღმოვჩნდით. – უკვე ოცი დოლარისა გადავიღე. საკმარისია.

– არა, – ვუთხარი მე. – სახურავზეც გადამიღეთ.

– ღმერთო ჩემო, – თქვა მან და სახლს ახედ-დახედა. – ახლაც ეს მოინდომეთ?

– მთელი ბანდა იყო. ყველაფერი მოასუფთავეს, – ვუთხარი მე.

– რას ამბობთ, – თქვა კაცმა და კაუჭები კვლავ ასწია.

სახლში შევედი, სკამი გამოვიტანე და გარაჟის კართან დავდგი, მაგრამ ვერ ავწვდი. ამიტომ სკამზე ხის ყუთი დავდე. სახურავზე დგომა მომეწონა. ვიდექი და ირგვლივ ვიყურებოდი. ფოტოგრაფს ხელი დაუჭენიე და მანაც საპასუხოდ კაუჭები დამიქნია.

მაშინვე შევამჩნიე კენჭები. ბუხრის მილის თავზე თითქოს კენჭებისგან შეკონინებული ბუდე იყო. ხომ იცით, ბავშვები როგორ ისვრიან კენჭებს და ჰგონიათ, რომ ისინი ბუხრის მილში ჩაცვივდება.

– მზად ხართ? – დავიყვირე, კენჭი ავიღე და დავიცადე, სანამ სამიზნებლით მომიძებნიდა.

– კი, – დამიყვირა მან.

ხელი ავნიე და დავიყვირე:

- გადამიღეთ!
- და ეს ოხერი კენჭი რაც შეიძლება შორს ვისროლე.
- არ ვიცი, - მომესმა მისი ყვირილი. - მოძრაობისას არ ვიღებ ხოლმე.
- კიდევ გადაიღეთ! - დავიღრიალე და სხვა კენჭი ავიღე.

მისტარ ყავა და მისტარ ხელმარჯვე ოსტატი

ამქვეყნად უამრავი რამ მინახავს.

ერთხელ დედაჩემთან რამდენიმე დღით სტუმრობა დავაპირე, მაგრამ კიბის ზედა ბაქანზე რომ ავედი, დავინახე, დივანზე იჯდა და მამაკაცს კოცნიდა. ზაფხული იყო. კარი ღია ჰქონდა. ტელევიზორი ხმაურობდა. აი, ასეთი რამეც ვნახე.

დედაჩემი სამოცდახუთი წლისაა. მარტოხელა ქალთა კლუბის წევრია. მაინც მემძიმა. ვიდექი, ხელი მოაჯირზე მედო და ვუყურებდი, როგორ კოცნიდა კაცი. დედაჩემიც კოცნიდა და ტელევიზორი ხმაურობდა.

ახლა ჩემი ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, მაგრამ იმხანად, როცა დედაჩემმა აიწყვიტა, სამსახური დავკარგე. შვილები შეშლილებივით იქცეოდნენ. ცოლიც. მანაც აიწყვიტა. კოსმონავტიკის უმუშევარ ინჟინერთან გააბა ურთიერთობა. ერთმანეთი ანონიმური ალკოჰოლიკების კლუბში გაიცნეს. ისიც შერეკილი იყო. როსი ერქვა. ექვსი შვილი ჰყავდა. კოჭლობდა, რადგან პირველმა ცოლმა ფეხში დაჭრა.

არ ვიცი, რაზე ვფიქრობდით იმ დღეებში.

იმ კაცმა მეორე ცოლი შეირთო და დასცილდა კიდევ, მაგრამ სწორედ პირველმა ცოლმა დაჭრა, იმის გამო, რომ როსი ალიმენტებს არ იხდიდა. ახლა ყოველგვარ სიკეთეს ვუსურვებ. როსს. რა სახელიაა! მაგრამ იმხანად ყველაფერი სხვაგვარად იყო. მაშინ მოკვლით ვემუქრებოდი. ცოლს ვეუბნებოდი, სმიტ-ვესონის ყიდვას ვაპირებ-მეთქი, მაგრამ არ მიყიდა.

როსი ტანდაბალი იყო, თუმცა ძალიანაც არა. ულვაში ჰქონდა და ყოველთვის ღილებიანი პულოვერი ეცვა.

ერთხელ ცოლმა დააპატიმრებინა. მეორე ცოლმა. ჩემმა ქალიშვილმა, მელოდომ, მითხრა, დედამ მის ნაცვლად გირაო შეიტანაო. მელოდის ჩემზე მეტად როდი მოსწონდა. გირაოს ვგულისხმობ. ვერ ვიტყვი, რომ მელოდი მემხრობოდა. არავის ემხრობოდა, არც მე და არც დედამისს. უბრალოდ, საქმე დიდძალ თანხას ეხებოდა და თუ მისი ნაწილი როსს გადაეცა, მელოდის ნაკლები დარჩებოდა. ამდენად, მელოდის არ ეჭაშნიკებოდა როსი. მას არც როსის შვილები მოსწონდა და არც ის, რომ როსს ამდენი შვილი ჰყავდა. საერთოდ კი, ამბობდა მელოდი, როსს არა უშავსო.

ერთხელ როსმა მელოდის უმკითხავა კიდევც.

ახლა, როცა როსი უმუშევარი იყო, განუწყვეტილვ არემონტებდა რაღაცებს. მაგრამ ერთხელ მისი სახლი შევათვალაიერე. საშინელება იყო. ირგვლივ უამრავი ხარახურა ეყარა. ეზოში ორი დაშლილი „პლიმუტი“ იდგა.

მათი ამბის დასაწყისში ჩემმა ცოლმა განაცხადა, როსი ძველებურ ავტომობილებს აგროვებსო. ეს მისი სიტყვები იყო: „ძველებური ავტომობილები“. სინამდვილეში კი მხოლოდ ორი ჯაბახანა იყო.

მეტსახელი დავარქვი. „მისტერ ხელმარჯვე ოსტატი“.

მაგრამ მე და მას ბევრი საერთო გვქონდა. და ეს მხოლოდ ერთი და იგივე ქალი არ იყო. მაგალითად, არ შეეძლო გაესწორებინა ტელევიზორი, როდესაც გამოსახულება არ ჩანდა. მეც არ შემეძლო. ბგერა ისმოდა, გამოსახულება კი არ ჩანდა. ახალი ამბების გაგება თუ გვინდოდა, ეკრანთან უნდა დავმსხდარიყავით და გვესმინა.

როსმა და მირნამ ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როდესაც მირნა ცდილობდა, სმისთვის თავი დაენებებინა. ის შეკრებებს კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ ესწრებოდა. მე ხან მივდიოდი, ხან არა. მაგრამ მირნამ როსი რომ გაიცნო, შეკრებებზე აღარ დავდიოდი